№ 5 "30" იანვარი 2012

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" სარევიზიო კომისიის

სხდომის ოქმი

30 იანვარი, 2012წ.

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" სარევიზიო კომისიის №5 სხდომა გაიმართა ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების 36, ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის " ოფისში. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

მაკა ჯაფარიძე-სხდომის მდივანი

მარიამ კუბლაშვილი- წევრი

სხდომას არ ესწრებოდა წევრი -ლევან ჩხეიძე

აკაკი ჩარგეიშვილი-კომისიის თავმჯდომარე

ქეთევან ჯაფარიძე-სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

დღის წესრიგი:

1. გასული პერიოდის მიმოხილვა (მომხსენებელი აკაკი ჩარგეიშვილი)
2. მიმდინარე წელს განსახორციელებლი საქმიანობების დაგეგმვა
3. სხვადასხვა

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ დღის წესრიგის პირველი საკითხით. მან მოკლედ მიმოიხილა გასული პერიოდი და მიაწოდა წევრებს ინფორმაცია მიმდინარე წელს განსახორციელებლი საქმიანობების შესახებ. კომისიის წევრმა მარიამ კუბლაშვილმა წევრებს გააცნო ინფორმაცია აღმასრულებელი საბჭოს გასვლითი შეხვედრის შესახებ ბაკურიანში, სადაც საუბარი იყო სარევიზიო კომისიის საქმიანობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სარევიზიო კომისიის ფუნქცია წესდების მიხედვით ძალიან მრავალფეროვანია, თუმცა, კომისიის უპირველესი ფუქნციაა აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა, თუ რამდენად სწორად არის დაცული გადაწყვეტილებების შესრულების წესი ასოციაციის წესდებასთან და კანონმდებლობასთან მიმართებაში და ამ ფორმით ხდება ასოციაციის საქმიანობის კონტროლი. შესაბამისად, სარევიზიო კომისია თავის საქმიანობას დაიწყებს ასოციაციის აუდიტორული შემოწმებით.

სხდომაზე მსჯელობის შემდეგ ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში" აუდიტორული კომპანიის შემოყვანის შესახებ, წევრებმა კენჭისყრის შედეგად (გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად) მიიღეს შემდეგი

**დადგენილება:**

1. გამოცხადეს სს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში" 2008 წლის ბოლო ოთხი (4) თვის, 2009-2010-2011 წლების აუდიტის ჩატარება. განაცხადების შემოტანის ვადად განისაზღვროს 2012 წლის 1-15 თებერვალი;

2. გამოცხადდეს კონკურსი გამარჯვებული აუდიტორული ფირმის გამოსავლენად; ინფორმაცია გავრცელდეს ასოციაციის ვებ-გვერდის და შესაბამისი ინტერნეტ-რესურსების საშუალებით; ასევე, აუდიტორულ ფირმებს გაეგზავნოთ ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

3. გაეგზავნოს წერილი "პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს" თავმჯდომარის სახელზე;

4. სარევიზიო კომისიის წევრთაგან შეიქმნას საორგანიზაციო ჯგუფი ორი ფიზ.პირის მონაწილეობით ( მარიამ კუბლაშვილი, მაკა ჯაფარიძე);

5. მიენიჭოს საორგანიზაციო ჯგუფს უფლებამოსილება ორგანიზება გაუწიონ, საკონკურსო-შერჩევის საფუძველზე მოიწვიონ (გამოავლინონ) აუდიტორული კომპანია, ამასთანავე, უზრუნველყონ საორგანიზაციო საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა და საჯაროობა, დაშვებული შეზღუდვების გათვალისწინებით;

6. საორგანიზაციო ჯგუფის მოქმედების ვადად განისაზღვროს 1 კალენდარული თვე, რის შემდგომ წარმოადგინონ წინადადება სარევიზიო კომსიიის სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. აღნიშნული საკითხზე მუშაობის პროცესში, ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყოფა დაევალოს სარევიზიო კომისიის კოორდინატორს.

სხდომის თავმჯდომარე აკაკი ჩარგეიშვილი

სხდომის მდივანი მაკა ჯაფარიძე

წევრი მარიამ კუბლაშვილი